პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

____ თებერვალი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს**:

მუხლი 1.

დადგინდეს ქალაქ ბათუმში სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, თანახმად დანართი 1-სა.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირების ტექსტური ნაწილი, თანახმად დანართი 2-სა.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირების გრაფიკული ნაწილი (ზონირების რუკა), თანახმად დანართი 3-სა.

მუხლი 4.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირების ტექსტურ ნაწილსა და გრაფიკულ ნაწილს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა ენიჭება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირების გრაფიკულ ნაწილს.

მუხლი 5.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულადგამოცხადდეს „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №3 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 06/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.132.016428)

მუხლი 6.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისათანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

„დამტკიცებულია“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილება
2020 წლის ... თებერვალი, №...

სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

1. ქალაქ ბათუმში, სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დიფერენცირებულია ქ. ბათუმის ზონირების საფუძველზე შესაბამისი ზონების (ქვეზონების) მიხედვით, დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K,$$ სადაც:

ა) C_N - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} - არის ქ. ბათუმის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,75;

გ) I_{TL} - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც განისაზღვრება:

გ.ა) ცენტრალური ზონის I ქვეზონისათვის - 1,5;

გ.ბ) ცენტრალური ზონის II ქვეზონისათვის - 1,4;

გ.გ) ცენტრალური ზონის III ქვეზონისათვის - 1,2;

გ.დ) შუალედური ზონისათვის - 1;

გ.ე) პერიფერიული ზონის I ქვეზონისათვის - 0,8;

გ.ვ) პერიფერიული ზონის II ქვეზონისათვის - 0,6;

გ.ზ) პერიფერიული ზონის III ქვეზონისათვის - 0,6;

გ.თ) პერიფერიული ზონის IV ქვეზონისათვის - 0,5;

დ) C - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა ტოლია 0,24 ლარის.

ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომლის ოდენობა დადგინდეს:

ე.ა) ცენტრალური ზონის I ქვეზონისათვის - 2200;

ე.ბ) ცენტრალური ზონის II ქვეზონისათვის - 1850;

ე.გ) ცენტრალური ზონის III ქვეზონისათვის - 1100;

ე.დ) შუალედური ზონისათვის - 920;

ე.ე) პერიფერიული ზონის I ქვეზონისათვის - 675;

ე.ვ) პერიფერიული ზონის II ქვეზონისათვის - 635;

ე.ზ) პერიფერიული ზონის III ქვეზონისათვის - 525;

ე.თ) პერიფერიული ზონის IV ქვეზონისათვის - 360.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქალაქ ბათუმში, სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი ოდენობით:

ზონა (ქვეზონა)	I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
ცენტრალური ზონა					
I ქვეზონა	0,75	1,5	0,24	2200	594
II ქვეზონა	0,75	1,4	0,24	1850	466,2
III ქვეზონა	0,75	1,2	0,24	1100	237,6
შუალედური ზონა					
შუალედური ზონა	0,75	1	0,24	920	165,6
პერიფერიული ზონა					
I ქვეზონა	0,75	0,8	0,24	675	97,2
II ქვეზონა	0,75	0,6	0,24	635	68,58
III ქვეზონა	0,75	0,6	0,24	525	56,7
IV ქვეზონა	0,75	0,5	0,24	360	32,4

დანართი №2

„დამტკიცებულია“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილება
2020 წლის ... თებერვალი, №....

ქვეზონები	ქ. ბათუმის ზონების (ქვეზონების) აღწერა	ლოკალური ტერიტორიული ინდექსი I_{TL}
	ცენტრალური ზონა	
I ქვეზონა	საიახტო კლუბის ნავმისადგომიდან აღმოსავლეთ მიმართულებით ზღვისპირა ზოლის ფეხით მოსიარულეთა ბილიკის გასწვრივ ს. ჟღენტის ქუჩამდე და ს. ჟღენტის ქუჩიდან ნინოშვილის ქუჩის კუთხემდე. ნინოშვილის ქუჩა ბოლომდე, ნინოშვილის ქუჩის ბოლოდან ბულვარის ხეივნის გასწვრივ რუსთაველის ქუჩამდე, რუსთაველის ქუჩა „შავი ზღვის ტბამდე", ბულვარის ხეივნის გასწვრივ შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩამდე, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა ჟილინის არხამდე.	1,5
II ქვეზონა	ა) საიახტო კლუბის ნავმისადგომიდან აღმოსავლეთით ზღვისპირა ზოლის ფეხით მოსიარულეთა ბილიკამდე, ზღვისპირა ზოლის ფეხით მოსიარულეთა ბილიკით ს. ჟღენტის ქუჩამდე, ს. ჟღენტის ქუჩიდან ნინოშვილის ქუჩის კუთხემდე, ნინოშვილის ქუჩა (კენტი მხარე) ბოლომდე, ნინოშვილის ქუჩის ბოლოდან ბულვარის ხეივნის გასწვრივ რუსთაველის ქუჩამდე, რუსთაველის ქუჩა (კენტი მხარე) „შავი ზღვის ტბამდე" ბულვარის ხეივნის გასწვრივ შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩამდე, ჟილინის არხის გასწვრივ ინასარიძის და ტბელ აბუსერიძის ქუჩამდე, ტბელ აბუსერიძის ქუჩის (კენტი მხარე), ჭავჭავაძის ქუჩის (ლუწი მხარე), წერეთლის ქუჩა (ლუწი მხარე) შავშეთის ქუჩამდე, შავშეთის ქუჩის (ლუწი მხარე) გოგებაშვილის ქუჩამდე, გოგებაშვილის ქუჩა (კენტი მხარე), თამარ მეფის გზატკეცილის კენტი მხარე თამარ მეფის I შესახვევის მიმდებარედ არსებული რკინიგზის ხიდამდე (დაბა მახინჯაური), შემდეგ რკინიგზის ხიდიდან რკინიგზის გასწვრივ, ზღვის მხარეს მეზღვაურის ქუჩამდე (დაბა ჩაქვი), (თანახმად დანართი #3-სა). ბ) ჟილინის არხის მარცხენა სანაპიროდან ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის გასწვრივ ახალი ბულვარის ტერიტორია აეროპორტის ასაფრენ ბილიკამდე (თანახმად დანართი #3-სა). გ) მდინარე ჭოროხის დელტადან აღმოსავლეთით ზღვისპირა პლაჟის ზოლი აფსაროსის გზატკეცილის I ჩიხის მიმდებარედ არსებულ არხამდე, არხის გასწვრივ აფსაროსის გზატკეცილამდე, აფსაროსის გზატკეცილი (ლუწი მხარე, ზღვამდე), ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილის (ლუწი მხარე, ზღვამდე) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე.	1,4
III ქვეზონა	გრიბოედოვისა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთიდან, ჭავჭავაძის ქუჩისა და წერეთლის ქუჩების კვეთამდე ჭავჭავაძის ქუჩის კენტ მხარეს, ჭავჭავაძისა და წერეთლის ქუჩების კვეთიდან მაიაკოვსკისა და შავშეთის ქუჩების კვეთამდე წერეთლის ქუჩის ლუწ მხარეს, წერეთლისა და შავშეთის ქუჩების ბაქოს ქუჩის კვეთამდე შავშეთის ქუჩის კენტ მხარეს, ბაქოს ქუჩისა და შავშეთის ქუჩის კვეთიდან ნონეშვილის ქუჩისა და თამარ მეფის გზატკეცილის კვეთამდე ბაქოს ქუჩის ლუწ მხარეს, ნონეშვილის ქუჩისა და თამარ მეფის გზატკეცილის კვეთიდან გოგოლისა და ნონეშვილის ქუჩების კვეთამდე ნონეშვილის ქუჩის კენტ მხარეს, ნონეშვილისა და გოგოლის ქუჩების კვეთიდან ერისთავის ქუჩამდე გოგოლის ქუჩის ლუწ მხარეს, ერისთავისა და გოგოლის ქუჩების კვეთიდან ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ქუჩის კვეთამდე ერისთავის ქუჩის კენტ მხარეს, ერისთავისა და ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ქუჩების კვეთიდან შავშეთის ქუჩის კვეთამდე ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ქუჩის ლუწ მხარეს, ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძისა და შავშეთის ქუჩების	1,2

	კვეთიდან შაფათავას ქუჩის კვეთამდე შავშეთის ქუჩის ლუწ მხარეს, შავშეთისა და შაფათავას ქუჩების კვეთიდან სულაბერიძის ქუჩის კვეთამდე შაფათავას ქუჩის ლუწ მხარეს, სულაბარიძისა და გურამიშვილის ქუჩების კვეთიდან ბაგრატიონის ქუჩის კვეთამდე გურამიშვილის ქუჩის ლუწ მხარეს, ბაგრატიონისა და გურამიშვილის ქუჩების კვეთიდან გრიბოედოვის ქუჩამდე ბაგრატიონის ქუჩის ლუწ მხარეს და ბაგრატიონისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთიდან ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთამდე გრიბოედოვის ქუჩის კენტ მხარეს შორის არსებული ტერიტორია.	
	შუალედური ზონა	
შუალედური ზონა	ა) ტბ.აბუსერიძის ქუჩისა და აჭარის გზატკეცილის კვეთიდან (წრიული-დან) აჭარის გზატკეცილით ხახულის ქუჩამდე, ხახულის ქუჩა ლეონიძის ქუჩამდე, ლეონიძის ქუჩა (ლუწი მხარე) გენერალ ა.აბაშიძის ქუჩამდე, გენერალ ა.აბაშიძის ქუჩის ლუწი მხარე სულხან-საბა ორბელიანის ქუჩამდე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა (ლუწი მხარე) ლერმონტოვის ქუჩამდე, ლერმონტოვის ქუჩა (ლუწი მხარე) ბაგრატიონის ქუჩამდე, ბაგრატიონის ქუჩა (კენტი მხარე) გრიბოედოვის ქუჩამდე, გრიბოედოვის ქუჩა (ლუწი მხარე) ჭავჭავაძის ქუჩამდე, ტბელ აბუსერიძის ქუჩა (ლუწი მხარე), ტბელ აბუსერიძის ქუჩისა და აჭარის გზატკეცილის კვეთამდე (წრიულამდე). ბ) მდინარე ჭოროხიდან აღმოსავლეთით აფსაროსის გზატკეცილის I ჩიხის მიმდებარედ არსებულ არხამდე (მდ. ჭოროხის დელტადან არხამდე არსებული ზღვისპირა პლაჟის ზოლის გარდა), არხის გასწვრივ აფსაროსის გზატკეცილამდე, აფსაროსის გზატკეცილი (კენტი მხარე), ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი (კენტი მხარე) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე, შემდეგ ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ჭოროხამდე (თანახმად დანართი #3-სა). გ) მდინარე ჩაქვისწყლისა და შავი ზღვის შესართავიდან შავი ზღვის სანაპირო განთიადის დასახლებამდე (თანახმად დანართი #3-სა), თამარ მეფის გამზირის (გზატკეცილის) მარჯვენა მხარე ნონეშვილის ქუჩის კვეთამდე, ბარცხანის, თამარისა და განთიადის დასახლება (თანახმად დანართი #3-სა), ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრის გაყოლებით დაბა ჩაქვის მიმართულებით, მდინარე ჩაქვისწყლისა და შავი ზღვის შესართავამდე.	1
	პერიფერიული ზონა	
I ქვეზონა	ა) ხახულისა და ლეონიძის ქუჩების კვეთიდან გენერალ ა.აბაშიძის ქუჩამდე ლეონიძის ქუჩის (კენტი მხარე), სულხან-საბა ორბელიანის ქუჩამდე გენერალ ა.აბაშიძის ქუჩის (კენტი მხარე), ლერმონტოვის ქუჩამდე სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის (კენტი მხარე), ბაგრატიონის ქუჩამდე ლერმონტოვის ქუჩის (კენტი მხარე), გურამიშვილის ქუჩის კვეთამდე ბაგრატიონის ქუჩის, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთამდე გურამიშვილის ქუჩის (კენტი მხარე), შავშეთის ქუჩამდე შაფათავას ქუჩის (კენტი მხარე), შავშეთისა და შაფათავას ქუჩების კვეთიდან მამია ვარშანიძისა და სერგი მესხის ქუჩების კვეთამდე შავშეთის ქუჩის (ლუწი მხარე), მამია ვარშანიძისა და სერგი მესხის ქუჩების გადაკვეთიდან ხახულის ქუჩის მიმართულებით მამია ვარშანიძის ქუჩის მარჯვენა მხარე ხახულის ქუჩამდე, მამია ვარშანიძის ქუჩიდან ხახულის ქუჩის მარჯვენა მხარე ხახულისა და ლეონიძის ქუჩების შეერთებამდე. ბ) ჟილინის არხის მარცხენა სანაპიროდან ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის გასწვრივ ახალი ბულვარის ტერიტორიის მოპირდაპირე მხარე	0.8

	აეროპორტის ასაფრენ ბილიკამდე (თანახმად დანართი #3-სა), შავი ზღვის სანაპიროდან აეროპორტის ასაფრენი ბილიკის ჩათვლით, აეროპორტის ასაფრენი ბილიკის მდინარე ჭოროხის მხარე ბათუმი-სარფის საავტომობილო გზამდე, ბათუმი-სარფის გზა (თანახმად დანართი #3-სა) ჟილინის არხის მარცხენა სანაპირომდე.	
II ქვეზონა	შავშეთის, მამია ვარშანიძის და სერგი მესხის ქუჩების კვეთიდან ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ქუჩის კვეთამდე შავშეთის ქუჩის კენტ მხარეს, შავშეთისა და ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ქუჩების კვეთიდან ერისთავის ქუჩის კვეთამდე ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ქუჩის კენტ მხარეს, ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძისა და ერისთავის ქუჩების კვეთიდან გოგოლის ქუჩის კვეთამდე ერისთავის ქუჩის ლუწ მხარეს, ერისთავისა და გოგოლის ქუჩების კვეთიდან ნონეშვილის ქუჩის კვეთამდე გოგოლის ქუჩის კენტ მხარეს, ნონეშვილის ქუჩისა და გოგოლის ქუჩის კვეთიდან ფაღავას ქუჩის კვეთამდე ნონეშვილის ქუჩის კენტ მხარეს, ნონეშვილისა და ფაღავას ქუჩის კვეთიდან თვითმმართველ ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრამდე ფაღავას ქუჩას, თვითმმართველ ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის გაყოლებით მამია ვარშანიძის და დ. თავდადებულის ქუჩების კვეთამდე (შედის ე.წ. გოროდოკის დასახლება და „თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 18 დეკემბრის №743-ს დადგენილებით თვითმმართველ ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორიები) და მამია ვარშანიძის და დ.თავდადებულის ქუჩების კვეთიდან მამია ვარშანიძისა და შავშეთის ქუჩების კვეთამდე მამია ვარშანიძის კენტ მხარეს შორის არსებული ტერიტორია.	0,6
III ქვეზონა	დ.თავდადებულისა და მ.ვარშანიძის ქუჩების გადაკვეთიდან მ.ვარშანიძის ქუჩის მარცხენა მხარე ხახულის ქუჩის მიმართულებით ხახულის ქუჩამდე, ხახულის ქუჩის მარცხენა მხარე ფრიდონ ხალვაშის გამზირამდე, ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ბათუმი-სარფის მიმართულებით არსებულ საავტომობილო გზამდე (თანახმად დანართი 3-სა), ბათუმი-სარფის მიმართულებით არსებულ საავტომობილო გზის მარცხენა მხარე მდინარე ჭოროხამდე, მდინარე ჭოროხიდან ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვარი კაპანდიბისა და შემდეგ ურეხის დასახლების მიმართულებით ისევ დ. თავდადებულისა და მ. ვარშანიძის ქუჩების გადაკვეთამდე (თანახმად დანართი #3-სა).	0,6
IV ქვეზონა	მდინარე ჭოროხის მარჯვენა მხარე ბათუმი-სარფის საავტომობილო გზიდან შავი ზღვის სანაპირომდე, შავი ზღვის სანაპირო ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მიჯნამდე, აეროპორტის მიჯნა ბათუმი-სარფის საავტომობილო გზამდე (თანახმად დანართი #3-სა).	0,5

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესი"-ს პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიწის ნორმატულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულოები.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში სახელმწიფოს და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ახდენს დადებით გავლენას, ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ ახდენს.

ბ.გ.) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტი გავლენას იქონიებს ქონების გადასახადის გადამხდელებზე. ასევე, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოებზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტი და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი;

„სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულება;

„ნორმატული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით კოპინაძე